

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

სპარტაკ ავალიანი

სამშენებლო ნაგებობათა მზიდი კონსტრუქციების ოპტიმიზაციის ამოცანები

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ა კ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2011 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო ფაკულტეტზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტმდ., სრ. პროფ. ზურაბ გედენიძე

რეცენზენტები: ტმდ. ვიტალი დვალიშვილი
ტმდ. სეით ბლიაძე

დაცვა შედგება 2011 წლის "12" ივლისს, ----- საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სადისერტაციო
საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი I , აუდიტორია -----

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 68.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა – უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე

სადისერტაციო საბჭოს

სწავლული მდივანი

ტმდ., სრ. პროფ. მ. კუბლაშვილი

ნაშრომის საერთო დახასიათება

ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მშენებლობა, როგორც სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგი, ღრმა კრიზისში აღმოჩნდა. დარგის შემდგომი განვითარებისათვის ძალზედ აქტუალურია სამშენებლო ნაგებობათა მზიდი კონსტრუქციების ოპტიმიზაციის გზით დანახარჯების შემცირების მიღწევა.

თხელკედლიანი კონსტრუქციები, გარსებისა და ფირფიტების სახით, ფართოდ გამოიყენება სამშენებლო საქმეში მზიდი ელემენტების სახით. ასეთი კონსტრუქციები მისი გეომეტრიული ფორმისა და კვეთის ოპტიმალურად შერჩევის პირობებში მაქსიმალურად იყენებენ მასალის მექანიკურ მახასიათებლებს, რაც პრინციპში უზრუნველყოფს მინიმალური წონის (მოცულობის) კონსტრუქციის დაპროექტებას. ასეთი კონსტრუქციების მახასიათებელია მინიმალური წონა და მაქსიმალური სიმტკიცე.

სადისერტაციო ნაშრომში კვლევის ობიექტად შერჩეულია თხელკედლიანი შემტორი ნაგებობა, რომელსაც მუშაობა უხდება ძალთა განსაკუთრებული რთული შეთანწყობისა და რთული სტატიკური, კინემატიკური და შერეული სასახლვრო პირობებში. ნაშრომში ძირითადი აქცენტი გადატანილია დაბალდაწნევიან კაშხლებზე. თუმცა გაანგარიშებით მიღებული კვლევის მეთოდები და კვლევის რიცხვითი რეალიზაციით მიღებული შედეგების ანალიზი სამართლიანი იქნება საშუალო და მაღალდაწნევიანი, აგრეთვე სხვა დანიშნულების შესაბამისი თხელკედლიანი კონსტრუქციებისათვის.

სადისერტაციო ნაშრომში აქცენტის გადატანა დაბალდაწნევიან კაშხლებზე იმითაცაა განპირობებული, რომ საქართველოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია მისი ერთერთი უმდიდრესი რესურსის, მცირე მდინარეების, ენერგეტიკული პოტენციალის ათვისების დაჩქარება, (ჩვენი ქვეყნის მდინარეთა საერთო ქსელის უდიდესი ნაწილი (99,4%) “ძალიან მცირე” (25 კმ-ზე ნაკლები სიგრძის) მდინარეთა კატეგორიას მიეკუთვნება), ამ ამოცანის გადაწყვეტაც მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული მზიდი კონსტრუქციების ოპტიმიზაციის გზით გაიაფებასთან, თუმცადა ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობა ძალზედ საპასუხისმგებლოა და მისი ღირებულების შემცირება არ შეიძლება დაიგეგმოს ექსპლუატაციაში საიმედოობის შემცირების ხარჯზე. აღნიშნულის გამო ნაშრომში გაანგარიშებები ჩატარებულია თხელკედლიანი ელემენტებისაგან შედგენილ კაშხალზე. მიღებული შედეგები კი სამართლიანია სამოქალაქო და სამრეწველო დანიშნულების ანლოგიურ კონსტრუქციებისათვის.

ბეტონისა და რკინაბეტონის კაშხლებს შორის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულია გრავიტაციული კაშხლები, რომელთა უარყოფითი მხარეა დიდი მასა, გამომდინარე აქიდან ძვირადღირებული მასალების დიდი ხარჯი, მაშინ როდესაც განსაკუთრებით დაბალ და საშუალო სიმაღლის კაშხლებში მასალის (ბეტონის)

მექანიკური მახასიათებლების მხოლოდ 10 - 20% არის გამოყენებული. რაც დეფორმირებადი სხეულების მექანიკის თვალსაზრისით, აშკარად მეტყველებს მათი კონსტრუქციის არასრულყოფილებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსთა განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა საკვლევ-საძიებო სამუშაოები, რომლებიც მნიშვნელოვნად აჩქარებს და აიაფებს გრავიტაციული კაშხლების მშენებლობას. კვლევები ძირითადად ორი მიმართულებით, კაშხლის მშენებლობის ტექნოლოგიური და კონსტრუქციული სრულყოფის მიზნით, მიმდინარეობს.

მიუხედავად აღნიშნულისა, გრავიტაციული კაშხლების გაუმჯობესების, შემსუბუქების და გაიაფების, დღემდე პრაქტიკაში გამოყენებული მეთოდები 10÷15%-ით ამცირებს ტანში ბეტონის მოცულობას, ხოლო მშენებლობის კაპიტალდაბანდების შემცირება განისაზღვრება მხოლოდ 10÷12%-ით; რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ მიმართულებით კვლევები ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის და აქტუალურია დღესაც.

დაცვის საგანს წარმოადგენს: ნაშრომში განხილული, ახალი თხელკედლიანი ყრუ და წყალსაშვიანი კაშხლის კონსტრუქცია, (რომელიც პირობითად შეგვიძლია მივაკუთვნოთ შემსუბუქებული გრავიტაციული კაშხლების კატეგორიას), რომელიც მიიღება სამი თხელკედლიანი ელემენტის ერთმანეთთან მდოვრე შეუღლებით. თხელკედლიანი ელემენტები, კაშხლის მუშაობის პირობებიდან გამომდინარე, წარმოდგენილია გარსებისა და ფილების სახით. აღნიშნული ელემენტებისათვის გადაწყვეტილია ოპტიმიზაციის ამოცანა და მიღებულია შედეგები რომელთა გამოყენებაც რეკომენდებულია როგორც ჰიდრო ასევე სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობაში.

ჩატარებულია აგრეთვე შემსუბუქებული კაშხლის გამტარუნარიანობასა და მდგრადობაზე (ფუძის სიბრტყეში ძვრასა და გადაყირაგებაზე) გაანგარიშება.

კაშხლის სამი თხელკედლიანი, მდოვრედ შეუღლებული ელემენტიდან ყველაზე საპასუხისმგებლო მზიდ კონსტრუქციას სადაწნეო წახნაგი წარმოადგენს, იგი კონსტრუქციული თვალსაზრისით ღია ცილინდრული თხელკედლიანი გარსია, რომლის სიმრუდის რადიუსი, სისქე და სიმრუდის ცენტრი შეირჩევა წინასწარ კონსტრუქციულად, ხოლო შემდგომ ზუსტდება ნაგებობის საერთო მდგრადობასა და სიმტკიცეზე გაანგარიშებით.

ნაშრომში კაშხლის სადაწნეო წახნაგის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის დასადგენად გამოყენებულია ნახევრად მომენტური გარსთა თეორია. გადამწყვეტი განტოლება მიღებულია ვ. ვლასოვისა და უ. ფინსტერგალდერის ნახევრად მომენტური გარსთა თეორიის საფუძველზე. წინასწარობის განტოლებათა სისტემა ჩაწერილია რადიალურ გადაადგილებებში, როგორც მე-8 რივის კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლება. ცვლადთა განცალკევებით იგი

დაყვანილია მე-8 რიგის მუდმივკოეფიციენტებიან ჩვეულებრივ დიფერენციალურ არაერთგვაროვან განტოლებაზე. მახასიათებელი განტოლების ფესვთა თეორიული ანალიზის საფუძველზე მიღებულია ამ და შესაბამისად გადამწვევტ განტოლებათა ზოგადი ამონახსნი რადიალური ჩაღუნვების სახით. ინტეგრირების მუდმივები განსაზღვრულია სასაზღვრო პირობების შესაბამისი რვა განტოლებისგან შემდგარი იმ ალგებრულ განტოლებათა სისტემის ამოხსნით, რომელიც მაქსიმალური მიახლოებით ახასიათებს საკვლევი წახნაგის მუშაობის რეალურ პირობებს.

მიღებულია ამოცანის ზოგადი ამონახსნის ნებისმიერი n რიგის წარმოებულის უშუალო განსაზღვრის მეთოდი, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს რადიალური ჩაღუნვებით კაშხლის სადაწნეო წახნაგის ნებისმიერი შიგა ძაღვის განსაზღვრას.

ამოცანის რიცხვითი რეალიზაციისათვის შედგენილია კომპიუტერული პროგრამა MATLAB-ის ენაზე.

მოცემულია შემსუბუქებული კონსტრუქციის დაბალდაწვევიანი კაშხლის საძირკვლის ფილის სიმტკიცეზე გაანგარიშება. საძირკვლის ფილა, დაბალი ასაწყობი კაშხლისათვის, უმნიშვნელო უკუფილტრაციული დაწვევისა და რეაქტიული ძაღების გამო, წარმოდგენილია ბრტყელი ფირფიტის სახით. საშუალო და მაღალი კაშხლებისათვის კი სათანადო ფუძის გრუნტის პირობებში, საძირკვლის ფილა ჩანაცვლებულია ცილინდრული გარსით.

ნაშრომში, საძირკვლის ფილის გაანგარიშების მეთოდი ძირითადად ეფუძნება ვ. ვლასოვისა და ნ. ლეონტიევის მიერ დამუშავებულ მეთოდს.

პრაქტიკულად ყველა შესაძლო სასაზღვრო პირობებისათვის, რადიალური ჩაღუნვებით, ნაშრომში განსაზღვრულია საძირკვლის ფილის ყველა შინაგანი ძაღოვანი ფაქტორი, რომელთა მიხედვით მარტივად განისაზღვრება ძაღვის კომპონენტები და მთავარი ძაღვები. შედგენილია კომპიუტერული პროგრამა ამოცანის რიცხვითი რეალიზაციისთვის.

ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტების საფუძველზე გამოკვლეულია საძირკვლის ფილის სიმტკიცეზე თითოეული პარამეტრის გავლენა, ამონახსნთა კრებადობის საკითხი, მიღებული შედეგების შედარება და ანალიზი სხვა ავტორების მიერ შემოთავაზებულ მეთოდებთან დრეკად ფუძეში დამატებით მხები ძაღვების გავლენის ხარჯზე.

ნაშრომში ძირითადად განხილულია დრეკადი საძირკვლის ერთშრიანი ერთგვაროვანი მოდელი, თუმცა დამუშავებული მეთოდი მართებულია მრავალშრიანი მოდელისთვისაც.

კაშხალი როგორც ერთიანი ნაგებობა გაანგარიშებულია სასრულ ელემენტთა მეთოდით. გარსებისა და ფირფიტების თეორიით და სასრულ ელემენტთა მეთოდით მიღებული შედეგები პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით ერთმანეთს დაემთხვა.

ნაშრომის მეხუთე თავი ეძღვნება თხელკედლიანი ელემენტების ოპტიმალური დაპროექტების საკითხებს. ოპტიმიზაციის კრიტერიუმად მიღებულია გარსებისა და ფილების მინიმალური წონა სიმტკიცისა და სიხისტის ნორმატიული მარაგის შენარჩუნებით.

ნაგებობის სიმტკიცის პირობა ფასდება რთული დაძაბული მდგომარეობისა და მასალის გაჭიმვასა და კუმშვაზე სხვადასხვა წინაღობის გათვალისწინებით (მეფე პლასტიკური მასალები). ოპტიმიზაციის კრიტერიუმია გარსების იმ ოპტიმალური სისქეების შერჩევა, რომლებიც უზრუნველყოფს მთელი კონსტრუქციის ერთბაშად გადასვლას პლასტიკურ მდგომარეობაში. მიღებული შედეგები ხელს შეუწყობს როგორც ჰიდრო ასევე სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობით დაკავებულ საინჟინრო პერსონალს, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებში გარსებისა და ფილების ოპტიმალური სისქეების შერჩევაში და ამ გზით მასალის ეკონომიის მიღწევის საქმეში.

ნაშრომში დამუშავებული კაშხლის კონსტრუქციის გამოყენების შემთხვევაში მასალის ხარჯი 35-45% -ით შემცირდება, ხოლო ჩვენს მიერ შემოთავაზებული უნიფიცირებული კაშხლების გამოყენებისას შემტორი ნაგებობების მშენებლობის ეკონომია წინასწარი გაანგარიშებით 50%-ს აღარბებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ნაშრომში დამუშავებული საკითხები ჩვენი ქვეყნის პირობებში მეტად აქტუალურია.

ნაშრომის მიზანია: მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტის (25-40%) მისაღებად, შემტორი და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ასევე სამოქალაქო და სამრეწველო შენობების დაპროექტებითა და მშენებლობით დაკავებულ ორგანიზაციებს მიაწოდოს ახალი ტიპის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური გადაწყვეტები, მასიური ნაგებობების თხელკედლიანი ოპტიმიზირებული ელემენტებით ჩანაცვლებისა და უნიფიცირების გამოყენებით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

- დამუშავებულია მასიური გრავიტაციული (მათ შორის წყალსაშვიანი) კაშხლის ფუნქციის მქონე, თხელკედლიანი ელემენტებისაგან შედგენილი, უნიფიცირებული ასაწყობი კაშხლის კონსტრუქცია.
- თხელკედლიანი კაშხლის ელემენტებისათვის (გარსები და ფილები) შერჩეულია გაანგარიშების მეთოდი. ჩატარებულია რეალური სასაზღვრო პირობებისათვის ანალიზური გაანგარიშებები.
- დამუშავებულია და განზოგადებულია თხელკედლიანი ელემენტების (გარსები და ფილები) ანგარიშის რიცხვითი რეალიზაციისთვის კომპიუტერული საანგარიშო პროგრამები MATLAB-ის გარემოში.

- ჩატარებულია შედარებითი ანალიზი გარსებისა და ფილების ტექნიკური თეორიის გამოყენებით მიღებულ შედეგებსა და სასრულ ელემენტთა თეორიის გამოყენებით მიღებულ შედეგებს შორის.
- დამუშავებულია ოპტიმიზაციის ამოცანა ნახევრად მომენტური წონასწორობისა და მყიფე პლასტიკური მასალების სიმტკიცის, მ.მიქელადის მიერ მიღებულ, პირობათა გამოყენებით.

ნაშრომის აპრობაცია: ნაშრომის ცალკეული ნაწილები მოხსენებულია ორ საერთაშორისო კონფერენციაზე. ხოლო მთლიანი ნაშრომი სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულ ორ სემინარზე.

პუბლიკაციები: ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია 5 სამეცნიერო სტატიასა და ერთ მონოგრაფიაში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: ნაშრომის სრული მოცულობაა 161 გვერდი. იგი მოიცავს შესავლს, ხუთ თავს, დასკვნასა და ლიტერატურას, რომელიც 58 დასახელებისაგან შედგება.


ნაშრომის შინაარსი

შესავალში განხილულია ნაშრომის საერთო შინაარსი: დასაბუთებულია დასმული საკითხის აქტუალობა, განხილულია კაშხალთმშენებლობის ტენდენციები და კვლევის თანამედროვე მიმართულება, მოყვანილია შემსუბუქებული ტიპის თხელკედლიანი, ასაწყოი კაშხლის კონსტრუქცია, მოცემულია მისი გაანგარიშების მეთოდების ანალიზი და ურთიერშედარება, განხილულია თხელკედლიანი ელემენტების ოპტიმიზაციის ამოცანის არსი და მიღებული შედეგების საიმედოობის დასაბუთება. მოცემულია ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა.

პირველ თავში: მოცემულია ახალი, შემსუბუქებული კაშხლის კონსტრუქცია, მისი თხელკედლიანი ელემენტებით კონსტრუირების საკითხები.

დაბალდაწნევიანი სათავო კვანძის კონსტრუირება არაკლდოვან ფუძეზე, კერძოდ, კაშხლის მიწისქვეშა (ფილტრაციული) კონტურისა და ფლუტბეტის შერჩევა წარმოებს ისე, როგორც კლასიკური დაბალწნევიანი კაშხლის სათავო კვანძის შემთხვევაში (ნახ.1).

პირველ თავში ასევე განხილულია შემოთავაზებული თხელკედლიანი კაშხლის უპირატესობები, ტრადიციულ ბეტონის გრავიტაციულ კაშხალთან შედარებით. მოცემულია თხელკედლიანი კაშხლის გაანგარიშებები მდგრადობაზე (ფუძის სიბრტყეში ძვრასა და გადაყირავებაზე).




ნახ. 1. კაშხლის მიწისქვეშა კონტურის და ფლუტბეტის ელემენტები

- 1 – კაშხალი, 2 – ძირული, 3 – ნარანდი, 4 – წყალსაცემი, 5 – რისბერმა, 6 – დრენაჟი, 7 - ფარი

გამომდინარე იმ მოსაზრებიდან, რომ უნიფიკაცია და სტანდარტიზაცია 20-40%-ით აიაფებს მშენებლობას, ნაშრომის ამ თავში დამუშავებულია ოთხი სხვადასხვა სიმაღლის (1,5, 2, 3 და 5 მ) შემტბორი ნაგებობისათვის ასაწყობი უნიფიცირებული კაშხლის კონსტრუქცია. ჩატარებულია უნიფიცირებული კაშხლებისათვის სათანადო ჰიდრაულიკური გაანგარიშება და შემოწმება დატვირთვის სხვადასხვა შეთანწყობის შემთხვევაში მდგრადობაზე (ფუძის სიბრტყეში ძვრასა და გადაყირავებაზე).

მეორე თავში მოცემულია კაშხლის სადაწნეო წახნაგის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის გამოკვლევა. განხილულია ცილინდრული გარსების გაანგარიშების თანამედროვე მეთოდები. შერჩეულია შემსუბუქებული კონსტრუქციის კაშხლების გაანგარიშების მეთოდი, კერძოდ პირველ ეტაზე შედეგების მაღალი სიზუსტის შესანარჩუნებლად ვიყენებთ ფილებისა და გარსების ტექნიკურ თეორიას.



ნახ. 2. ძალები გარსის ელემენტებში

ასევე მოცემულია მომენტური გარსთა თეორიით სასაზღვრო პირობა, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს, თითოეულ კიდეზე.

დასაბუთებულია გაანგარიშების მეთოდი, კერძოდ ვარჩევთ ნახევრად მომენტურ თეორიას, რომელიც წარმოადგენს შუალედურს უმომენტო და მომენტურ თეორიებს


შორის. გარსის წონასწორობის განტოლებათა სისტემას ნახევრად მომენტური თეორიით შემდეგი სახე აქვს:

$$\left. \begin{aligned} \frac{\partial T_1}{\partial x} + \frac{1}{R} \frac{\partial S}{\partial \varphi} + q_1 &= 0, \\ \frac{\partial S}{\partial x} + \frac{1}{R} \frac{\partial T_2}{\partial \varphi} + \frac{N_2}{R} + q_2 &= 0, \\ \frac{1}{R} \frac{\partial N_2}{\partial \varphi} - \frac{T_2}{R} + q_3 &= 0, \\ \frac{\partial M_2}{\partial \varphi} - RN_2 &= 0. \end{aligned} \right\} \quad (1)$$

სადაწნეო ერთმაგი სიმრუდის წახნაგის საანგარიშო სქემა შეგვიძლია წარმოვადგინოთ როგორც ცილინდრული გარსი, რომელიც ფუძეში და თხემზე ჩამაგრებულია ხისტად (დრეკადად), ხოლო გასწორის ფერდობებზე – უძრავსასსრულად. ასეთი შემთხვევისათვის, წონასწორობის განტოლებათა სისტემა, რადიალურ გადაადგილებებში ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\frac{\partial^8 w}{\partial \varphi^8} + \left[\frac{\partial^6 w}{\partial \varphi^6} \right] + \frac{12R^6}{h^2} \frac{\partial^4 w}{\partial x^4} = \frac{12R^4}{Eh^3} \left(\frac{\partial^3 q_2}{\partial \varphi^3} + \frac{\partial^4 q_3}{\partial \varphi^4} - R \frac{\partial^3 q_1}{\partial x \partial \varphi^2} \right), \quad (2)$$

სადაც W რადიალური გადაადგილებაა; q_1, q_2, q_3 – ჰიდროსტატიკური წნევის ინტენსივობის გეგმილები ცილინდრულ კოორდინატთა ღერძებზე; h – გარსის სისქე (გაანგარიშების ამ ეტაპზე მუდმივად მიღებული); $R = \frac{R_1 + R_2}{2}$ – გარსის შუა ზედაპირის სიმრუდის რადიუსი; E – იუნგის მოდული (ნახ. 3).



ნახ. 3. სადაწნეო გადახურვის საანგარიშო სქემა, ნახევრად მომენტური თეორიის გამოყენებით

თუ შემოვიღებთ აღნიშვნას

$$Q(x, \varphi) = \frac{\partial^3 q_2}{\partial \varphi^3} + \frac{\partial^4 q_3}{\partial \varphi^4} - R \frac{\partial^3 q_1}{\partial x \partial \varphi^2},$$

მაშინ (2) განტოლება შემდეგ სახეს მიიღებს:

$$\frac{\partial^8 \mathbf{w}}{\partial \varphi^8} + \frac{\partial^6 \mathbf{w}}{\partial \varphi^6} + \frac{12R^6}{h^2} \frac{\partial^4 \mathbf{w}}{\partial x^4} = \frac{12\gamma R^4}{Eh^3} \mathbf{Q}(x, \varphi). \quad (3)$$

კაშხლის სადაწნეო გადახურვას ფერდობებზე აქვს თავის სიბრტყეში სახსროვნად უძრავი გადახურვა. თუ კოორდინატა სათავეს ავიღებთ წყალსაშვიანი კაშხლის სიგრძის შუაში, მაშინ სასაზღვრო პირობები როცა $\varphi=0$ ან $\varphi=\varphi_0$ და გვაქვს ხისტი ჩამაგრება ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\mathbf{u} = \mathbf{v} = \mathbf{w} = \frac{\partial \mathbf{w}}{\partial \varphi} = \mathbf{0}, \quad (4)$$

სათანადო გარდაქმნებით გადამწვევტი დიფერენციალური განტოლება (3) ტოლფასია შემდეგი განტოლებათა სისტემის

$$\frac{d^8 W_m}{d\varphi^8} + \frac{d^6 W_m}{d\varphi^6} + \frac{12R^6}{h^2} \left(\frac{2m-1}{l} \pi \right)^4 W_m = \frac{12R^4}{Eh^3} Q_m(\varphi), \quad m=1,2,\dots \quad (5)$$

რომლის ამონახსნი უნდა ვეძებოთ როგორც მისი შესაბამისი ერთგვაროვანი განტოლების ზოგადი ამონახსნი პლიუს ამ განტოლების რაიმე კერძო ამონახსნი, სათანადო გაანგარიშებების შედეგად გადამწვევტი დიფერენციალური განტოლების ამონახსნი მივიღეთ შემდეგი სახით:

$$w_m = \tilde{K}_m \sin \varphi + \sum_{i=1,3,5,7} e^{\frac{a_{i+1}\varphi}{2}} \left(C_i \cos b_{\frac{i+1}{2}} \varphi + C_{i+1} \sin b_{\frac{i+1}{2}} \varphi \right), \quad (6)$$

$$\text{სადაც } \tilde{K}_m = (-1)^m \frac{4\gamma l^4}{EhR[(2m-1)\pi]^5}. \quad (7)$$

დიფერენციალური განტოლების ინტეგრირების ნებისმიერი $\mathbf{C}_1, \mathbf{C}_2, \dots, \mathbf{C}_8$ მუდმივების განსაზღვრისათვის, აგრეთვე მდუნავი მომენტების და სხვა ძალოვანი ფაქტორების მოსაძებნად საჭირო $\mathbf{W}_m(\varphi)$ ფუნქციის (რადიალური გადაადგილებების) სხვადასხვა რიგის წარმოებულების ან რომელიმე \mathbf{n} რიგის წარმოებულის გამოთვლა. ამისათვის შევქმენით $\mathbf{W}_m(\varphi)$ ფუნქციის \mathbf{n} რიგის წარმოებულის გამოსათვლელი ფორმულა:

$$\begin{aligned} \frac{d^n W_m}{d\varphi^n} = & K_m \sin \left(\varphi + \frac{n\pi}{2} \right) + \sum_{i=1,3,5,7} \sqrt{(c_i^2 + c_{i+1}^2) \cdot \left(a_{\frac{i+1}{2}}^2 + b_{\frac{i+1}{2}}^2 \right)^n} \cdot e^{\frac{a_{i+1}\varphi}{2}} \cdot \\ & \cdot \cos \left(b_{\frac{i+1}{2}} - \psi_1 + n\psi_2 \right), \end{aligned} \quad (8)$$

სადაც

$$\psi_1 = \arccos \frac{c_i}{\sqrt{c_i^2 + c_{i+1}^2}} = \arcsin \frac{c_{i+1}}{\sqrt{c_i^2 + c_{i+1}^2}},$$

$$\psi_2 = \arccos \frac{\frac{a_{i+1}}{2}}{\sqrt{\frac{a_{i+1}^2}{2} + \frac{b_{i+1}^2}{2}}} = \arcsin \frac{\frac{b_{i+1}}{2}}{\sqrt{\frac{a_{i+1}^2}{2} + \frac{b_{i+1}^2}{2}}}.$$

ინტეგრების მუდმივები $C_1, C_2, C_3, \dots, C_8$ განისაზღვრება სასაზღვრო პირობებიდან. შემსუბუქებული ტიპის გრავიტაციული კაშხლის სადაწნეო გადახურვის სასაზღვრო პირობები გრძივი კიდის გასწვრივ (ფუძეში და თხემზე) როცა $\varphi = 0$ და $\varphi = \varphi_0$, იქნება:

$$\left. \begin{aligned} &\text{როცა } \varphi = 0 \\ &w_m = 0; \quad \frac{dw_m}{d\varphi} = 0; \quad \frac{d^6 w_m}{d\varphi^6} + \frac{d^4 w_m}{d\varphi^4} = 0; \\ &\frac{d^7 w_m}{d\varphi^7} + \frac{d^5 w_m}{d\varphi^5} = (-1)^{m+1} \frac{48\gamma R^5}{Eh^3(2m-1)\pi}. \\ &\text{როცა } \varphi = \varphi_0 \\ &w_m = 0; \quad \frac{dw_m}{d\varphi} = 0; \quad \frac{d^6 w_m}{d\varphi^6} + \frac{d^4 w_m}{d\varphi^4} = (-1)^{m+1} \frac{48\gamma R^5 \sin \varphi_0}{Eh^3(2m-1)\pi}; \\ &\frac{d^7 w_m}{d\varphi^7} + \frac{d^5 w_m}{d\varphi^5} = (-1)^{m+1} \frac{48\gamma R^5 \cos \varphi_0}{Eh^3(2m-1)\pi}. \end{aligned} \right\} \quad (9)$$

(9) სისტემის ამოხსნით განვსაზღვრეთ ინტეგრირების მუდმივები $C_1; C_2; C_3; \dots, C_8$. ამ მუდმივების განსაზღვრის შემდეგ, განვსაზღვრეთ w რადიალური გადაადგილებები. ხოლო გადაადგილებების მეშვეობით განისაზღვრება ძალოვანი ფაქტორები:

$$M_2 = -\frac{Eh^3}{12R^2} \frac{\partial^2 w}{\partial \varphi^2}, \quad (10) \quad N_2 = -\frac{Eh^3}{12R^3} \frac{\partial^3 w}{\partial \varphi^3}, \quad (11)$$


$$T_2 = -\frac{Eh^3}{12R^3} \frac{\partial^4 w}{\partial \varphi^4} - \gamma R^2 \sin \varphi, \quad (12) \quad S = \frac{Eh^3 l}{24R^4} \frac{\partial^5 w}{\partial \varphi^5} + \frac{\gamma R l}{2} \cos \varphi + \frac{Eh^3 l}{24R^4} \frac{\partial^3 w}{\partial \varphi^3} - \frac{q_2 l}{2}, \quad (13)$$

$$T_1 = -\frac{Eh^3 l^2}{48R^5} \frac{\partial^6 w}{\partial \varphi^6} + \frac{\gamma l^2}{4} \sin \varphi - \frac{Eh^3 l^2}{48R^5} \frac{\partial^4 w}{\partial \varphi^4} - \frac{q_1 l}{2}. \quad (14)$$

თეორიული კვლევის შედეგების რეალიზაცია ჩატარებულია ოთხი ასაწყოში, სტანდარტიზებული და ერთი საშუალო დაწნევიანი კაშხლის ტესტურ მაგალითზე. შედეგები მიღებულია ჩვენს მიერ დამუშავებული კომპიუტერული პროგრამის (MATLAB) საშუალებით. ამასთან, თითოეული კაშხლისათვის რიცხვითი ექსპერიმენტები ჩატარდა მისი ძირითადი პარამეტრების სხვადასხვა რიცხვითი მნიშვნელობებისათვის.

მოგვეყვას ($H_j = 5.0$ მ) კაშხლის სადაწნეო წახნაგის რადიალური გადაადგილებები კაშხლის R, h, l პარამეტრების ერთერთი რიცხვითი

მნიშვნელობისათვის.



ნახ. 4. რადიალური ჩაღუნვის ეპიურები $w=w(x, \varphi)$, 10^{-4} მ, როცა $H_p = 5$ მ, $h=0.7\text{მ}$, $\ell=40.0$ მ, $R=8.75\text{მ}$.

მესამე თავში მოცემულია კაშხლის საძირკვლის კონსტრუქციის ანგარიში დრეკად ფუძეზე: გაანალიზებულია სხვადასხვა ავტორთა მიერ დრეკად ფუძეზე კოჭების, ფილებისა და გარსების გაანგარიშების მეთოდები, დაშვებები და ჰიპოთეზები.

კაშხლის ელემენტების სიმტკიცის პირობების შესაფასებლად, გარკვეული ანალიზის შემდეგ, შერჩეული იქნა ფირფიტების (ფილების) და საშუალო სისქის გარსების თეორია. რომელიც სათანადო დაშვებების საფუძველზე, პრაქტიკულად მისაღები სიზუსტით იძლევა საძიებელი პარამეტრების ანალიზურ გამოსახულებებს, რომლებიც მარტივად ემორჩილებიან ფუნქციონალურ ანალიზს.


ფირფიტებისა და გარსების თეორიიდან მოყვანილია ზოგადი ცნებები და დებულებები, რომლებიც აუცილებელია ამოცანის რიცხვითი რეალიზაციისა და მიღებული შედეგების გაანალიზებისათვის. ნაშრომში ძირითადად განიხილება დრეკადი საძირკვლის ერთშრიანი მოდელი, თუმცა დამუშავებული მეთოდიკა თავისუფლად გამოიყენება სიმაღლეში განსხვავებული დრეკადი მახასიათებლიანი საძირკვლის მრავალშრიანი მოდელისათვის.

ერთშრიან დრეკად ფუძეზე თხელი ფილის ღუნვის ძირითადი (გადამწვევტი) დიფერენციალური განტოლებას აქვს შემდეგი სახე:

$$\nabla^2 \nabla^2 w - 2r^2 \nabla^2 w + S^4 w = \frac{P}{D}, \quad (15)$$

(15)-ში $w=w(x,y)$ გაღუნული ფილის ზედაპირის განტოლებაა; D - ფილის ცილინდრული

სიხისტე $D = \frac{Eh^3}{12(1-\nu^2)}$; $\nabla^2 = \frac{\partial^2}{\partial x^2} + \frac{\partial^2}{\partial y^2}$ - ლაპლასის მეორე რიგის ოპერატორი;



ნახ. 5. ფილის უსასრულოდ მცირე ელემენტში ძალები და მომენტები

$\mathbf{P}=\mathbf{P}(x,y)$ - ფილაზე მოქმედი ზედაპირული ძალის ინტენსივობა, რომელსაც თუ გამოვაკლებთ დრეკადი ფუძის რეაქტიულ დაწნევას, მივიღებთ ფილაზე მოქმედ საერთო გარე დატვირთვას; r^2 და S^4 - ფილისა და საძირკვლის განზოგადებული დრეკადი მახასიათებლები

$$r^2 = \frac{E_0}{4(1 + \nu_0)D} \int_0^T \Psi^2(z) dz = \frac{t}{D} \quad S^4 = \frac{E_0}{(1 - \nu_0^2)D} \int_0^T \Psi^2(z) dz = \frac{k}{D} \quad (16)$$

ფუძის მახასიათებლები (E_0 და ν_0) განსახილველ შემთხვევაში განისაზღვრება შემდეგი დამოკიდებულებებით:

$$E_0 = \frac{E_{გრ}}{1 - \nu_{გრ}^2}, \quad \nu_0 = \frac{\nu_{გრ}}{1 - \nu_{გრ}^2}, \quad (17)$$


სადაც $E_{გრ}$ და $\nu_{გრ}$ შესაბამისად ფუძის გრუნტის დრეკადობის მოდული და პუასონის კოეფიციენტებია; $\Psi(z)$ - გადაადგილების განივი განაწილების ფუნქციაა. პრაქტიკაში საკმაოდ თხელი დრეკადი შრისათვის, რომლის ზღვრებში ნორმალური \mathbf{s}_y ძაბვა რჩება პირობითად მუდმივი, ხოლო მხები ძაბვები იცვლება წრფივი კანონით, ხშირად ღებულობენ

$$\Psi(z) = \frac{T - z}{T}. \quad (18)$$

თუ კუმშვადი ფენის T სისქე მნიშვნელოვანია, მაშინ (18) გამოსახულება ძალზე მიახლოებით ახასიათებს დრეკადი ფუძის მუშაობას. ასეთ პირობებში ფილის ჯდომისა და ფუძეში ძაბვების განაწილების ფუნქციისათვის ხშირად ღებულობენ

$$\psi(z) = \frac{sh\gamma_1(T - y)}{sh\gamma_1 T}, \quad (19)$$

სადაც γ_1 მუდმივი კოეფიციენტია, რომელიც ახასიათებს ფუძის სიღრმეში ჯდომის ჩაქრობის სიჩქარეს.



ნახ. 6. დრეკად ფუძეზე კაშხლის საძირკვლის ფილის საანგარიშო სქემა

განხილული დრეკადი ფუძის საანგარიშო მოდელი (15) ორი დრეკადი k, t მახასიათებლით, იმით განსხვავდება ვინკლერ-ციმერმანის განტოლებისგან, რომ აქ შენარჩუნებულია დამატებითი წევრი r^2 კოეფიციენტით, რომლითაც გათვალისწინებულია დრეკად ფუძეში აღძრული მხები ძაბვები. თუ კოორდინატა სათავეს ავიღებთ ფილის შუაში (ნახ.6), მაშინ, როცა $y = \pm \frac{l}{2}$, $W=M_2=0$, ე.ი.

$$W = \frac{\partial^2 w}{\partial y^2} = 0. \quad (20)$$

ასეთი სასაზღვრო პირობების შემთხვევაში, (15) განტოლების ამონახსნი და ზედაპირული დატვირთვა შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი კრებადი მწკრივების სახით: $w(x,y) = \sum_{m=1}^{\infty} w_m(x) \cos \frac{2m-1}{l} \pi y$, $-b \leq x \leq b$; $-l/2 \leq y \leq l/2$, (21)

$$P(x,y) = P \sum_{m=1}^{\infty} P_m(x) \cos \frac{2m-1}{l} \pi y. \quad (22)$$

პრაქტიკულად, კაშხლის საძირკვლის ფილაზე დატვირთვები იცვლება მხოლოდ x ღერძის გასწვრივ, მაშინ

$$P_m(x,y) = \frac{2}{l} \sum_{-\frac{l}{2}}^{\frac{l}{2}} P_m \cos \frac{2m-1}{l} \pi y dy = \frac{2P}{l} \int_{-\frac{l}{2}}^{\frac{l}{2}} \cos \frac{2m-1}{l} \pi y dy = (-1)^{m+1} \frac{4P}{(2m-1)\pi}. \quad \text{თუ}$$

(15) განტოლებაში ჩავსვათ (21) და (22) გამოსახულებათა მნიშვნელობებს, მივიღებთ:

$$\frac{d^4 w_m}{dx^4} - 2(\lambda_m^2 + r^2) \frac{d^2 w_m}{dx^2} + (\lambda_m^4 + 2r^2 \lambda_m^2 + S^4) w_m = \frac{P_m}{D}, \quad (23)$$

$$\text{სადაც } \lambda_m = \frac{2m-1}{l} \pi.$$

(23) არის დრეკად ფუძეზე ფილის ღუნვის გადამწვევებ განტოლებიდან ცვლადთა განცალკევებით მიღებული ჩვეულებრივი არაერთგვაროვანი დიფერენციალური განტოლება.

მეოთხე რიგის ჩვეულებრივი ერთგვაროვანი დიფერენციალური განტოლების ზოგადი ინტეგრალი ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$W_m = C_1 \Phi_1 + C_2 \Phi_2 + C_3 \Phi_3 + C_4 \Phi_4, \quad (24)$$

სადაც C_1, C_2, C_3, C_4 ინტეგრების მუდმივებია, ხოლო $\Phi_1, \Phi_2, \Phi_3, \Phi_4$ - ფუნქციები, რომელთა მნიშვნელობას განსაზღვრავს (23) არაერთგვაროვანი განტოლების შესაბამისი ერთგვაროვანი მახასიათებელი

$$K^4 - 2a_1^2 K^2 + a_2^4 = 0 \quad (25)$$

განტოლების ფესვები, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ყოველთვის დადებითი a_1 და a_2 კოეფიციენტების თანაფარდობაზე ($a_1^2 = \lambda_m^2 + r^2$; $a_2^4 = \lambda_m^4 + 2r^2 \lambda_m^2 + S^4$). ნაშრომში მოცემულია მახასიათებელი განტოლების ფესვების სამი შესაძლო ვარიანტი და შესაბამისი $\Phi_i (i=1,2,3,4)$ ფუნქციათა მნიშვნელობანი.


მეოთხე რიგის მუდმივკოეფიციენტიანი არაერთგვაროვანი ძირითადი განტოლების ზოგადი ამონახსნი, შეიძლება ჩაეწეროს შემდეგი სახით ;

$$w_m = C_1 \Phi_1 + C_2 \Phi_2 + C_3 \Phi_3 + C_4 \Phi_4 + (-1)^{m+1} 2 \frac{b^4 P_{\text{მკ}} + P_{\text{მთ}} + (P_{\text{მკ}} + P_{\text{მთ}}) \eta}{a_2^4 D(2m-1)\pi}, \quad (26)$$

სადაც $\Phi_1, \Phi_2, \Phi_3, \Phi_4$ ფუნქციებია, რომელთა მნიშვნელობას განსაზღვრავს a_1 და a_2 კოეფიციენტებს შორის თანაფარდობა, ანუ შესაბამისი მახასიათებელი განტოლების ფესვები.

დავუშვათ, რომ შემსუბუქებული გრავიტაციული კაშხლის საძირკვლის ფილა ხისტადაა შეერთებული სადაწნეო და უდაწნეო წახნაგებთან. ამ გვერდების გასწვრივ, როგორც წესი, კაშხლის მიწისქვეშა კონტურს აქვს კბილები (ნახ. 6). შესაბამისად, საანგარიშო სქემაზე გამოსახული საძირკვლის ფილა გრძივი გვერდების გასწვრივ ($\eta = \pm 1$) შეგვიძლია ჩავთვალოთ ხისტად ჩამაგრებულად, ანუ როცა $\eta = \pm 1$, მაშინ

$$w = \frac{\partial w}{\partial \eta} = 0.$$



ნახ. 7. კაშხლის საძირკვლის ფილის საანგარიშო სქემა.

ამ სასაზღვრო პირობისა და Φ_i ფუნქციათა ლუწი და კენტი თვისებების გათვალისწინებით, ინტეგრირების მუდმივები (C_1, C_2, C_3, C_4) ადვილად გამოითვლება.

საძირკვლის ფილაში აღძრული მომენტები და განივი ძალები (ნახ. 7.ბ) ჩატარებულ გამოკვლევათა საფუძველზე, გამოითვლება შემდეგნაირად:


$$\begin{aligned}
 M_1 &= -D \sum_{m=1}^n \left(\frac{1}{b^2} w_m'' - \nu \lambda_m^2 w_m \right) \cos \lambda_m Y, \\
 M_2 &= D \sum_{m=1}^n \left(\lambda w_m - \nu \frac{1}{b^2} w_m'' \right) \cos \lambda_m Y, \\
 H = H_1 = -H_2 &= D(1 + \nu) \sum_{m=1}^n \left(\frac{\lambda_m}{b} w_m' \right) \sin \lambda_m Y, \\
 N_1 &= -D \sum_{m=1}^n \left(\frac{1}{b^3} w_m''' - \frac{\lambda_m^2}{b} w_m' \right) \cos \lambda_m Y, \\
 N_2 &= D \sum_{m=1}^n \left(\frac{\lambda_m^2}{b^2} w_m'' - \lambda_m^3 w_m \right) \sin \lambda_m Y. \quad (27)
 \end{aligned}$$

ძალებისა და მომენტების განსაზღვრის შემდეგ, გამოვთვალოთ სათანადო ძაბვები.

მექანიკური მახასიათებლების უფრო სრულყოფილად გამოყენების მიზნით, განსაკუთრებით მაშინ, როცა საძირკვლის კონსტრუქციაზე ქვევიდან ზევით მიმართული (უკუფილტრაციული) ძალები მნიშვნელოვანია, ფილის ნაცვლად შემსუბუქებულ კაშხლებში გამოყენებული იქნება გარსები, ხშირად ცილინდრული კონსტრუქციის. რადგან შემოთავაზებული ტიპის კაშხლები ძირითადად შენდება განიერ კალაპოტებში სადაც საძირკვლის გარსის სიგრძე ჩვეულებრივ 4-6-ჯერ აჭარბებს მის სიგანეს. შესაბამისად, საძირკვლის ცილინდრული გარსის ფარდობითი სიგრძე და მის კონტურზე სასაზღვრო პირობები, საშუალებას იძლევა მისი დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის აღსაწერად გამოყენებულ იქნეს ნახევარმომენტური ტექნიკური გარსების თეორია. ამ თეორიის საფუძველზე, ცილინდრულ კოორდინატთა სისტემაში წონასწორობის განტოლებათა სისტემა, სათანადო გარდაქმნისა და

კინემატიკური ხასიათის დაშვებების გათვალისწინებით და განივი ძალის შენარჩუნებით, ერთ შრიან დრეკად ფუძისათვის შემდეგ სახეს ღებულობს:

$$\frac{\partial^8 F}{\partial \varphi^8} + \left(2 - \frac{2tR^2}{D}\right) \frac{\partial^6 F}{\partial \varphi^6} + \frac{\partial^4 F}{\partial \varphi^4} \left(1 + \frac{kR^4}{D}\right) - \frac{2tR^4}{D} \frac{\partial^6 F}{\partial x^2 \partial \varphi^4} + \frac{12R^6}{h^2} \frac{\partial^4 F}{\partial x^4} = \frac{R^4}{D} P. \quad (28)$$



ნახ. 8. საძირკვლის ცილინდრული გარსის საკონტაქტო ზედაპირის ნორმალური w გადაადგილებები (დრეკადი ფუძის ჯდომა)

გადამწვევტი დიფერენციალური განტოლების (28) ამოხსნა გათვალისწინებულია ცვლადთა განცალკევებით, რომლისთვისაც გამოიყენება ერთმაგი ტრიგონომეტრიული მწკრივი. სათანადო გარდაქმნებით ნახევარუმომენტო საძირკვლის ცილინდრული გარსის განტოლება, შემდეგ სახეს ღებულობს:

$$\frac{d^8 F_m}{d\varphi^8} + \left(2 - \frac{2tR^2}{D}\right) \frac{d^6 F_m}{d\varphi^6} + \left(1 + \frac{kR^4}{D} + \frac{2tR^4 \lambda_m^2}{D}\right) \frac{d^4 F_m}{d\varphi^4} + \frac{12R^6 \lambda_m^4}{h^2} F_m = (-1)^{m+1} \frac{4R^4 P(\varphi)}{(2m-1)\pi}, \quad (29)$$

სადაც $\lambda_m = \frac{2m-1}{l}$. გადამწვევტი საბოლოო კერძოწარმოებულიანი არაერთგვაროვანი განტოლების ზოგადი ამონახსნი ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$F(x, \varphi) = \sum_{m=1}^{\infty} (F_m^*(\varphi) + \tilde{F}_m(\varphi) \cos \frac{2m-1}{l} \pi x, (m=1,2,3,\dots)). \quad (30)$$

ამ ამონახსნის საფუძველზე განისაზღვრება გადაადგილებები და შიგა ძალოვანი ფაქტორები. რომელთა მიახლოებითი მნიშვნელობა, როცა პუასონის კოეფიციენტს ვიღებთ 0-ის ტოლად, იქნება:

$$T_1 = Eh \frac{\partial u}{\partial x}, \quad T_2 = Eh \left(\frac{1}{h} \frac{\partial v}{\partial \varphi} + \frac{w}{R} \right), \quad S = \frac{Eh}{2} \left(\frac{1}{R} \frac{\partial u}{\partial \varphi} + \frac{\partial v}{\partial x} \right), \quad M_1 = -D \frac{\partial^2 w}{\partial x^2},$$

$$M_2 = -\frac{D}{R^2} \frac{\partial^2 w}{\partial \varphi^2}, \quad H = -\frac{Eh^3}{12R} \frac{\partial^2 w}{\partial x \partial \varphi}, \quad N_1 = \frac{\partial M_1}{\partial x} + \frac{1}{R} \frac{\partial H}{\partial \varphi}, \quad N_2 = \frac{\partial H}{\partial x} + \frac{1}{R} \frac{\partial M_2}{\partial \varphi}. \quad (31)$$

შემსუბუქებული კონსტრუქციის გრავიტაციული კაშხლის საძირკვლის ფილის დრეკად ფუძეზე გაანგარიშება ჩავატარეთ როგორც პირობითი ასევე ასაწყო სტანდარტიზირებული კაშხლებისათვის, რომელთა საანგარიშო მონაცემები მოცემულია ცხრილში;


ცხრილი 1.

ასაწყო კაშხლების საძირკვლის საანგარიშო ძირითადი მონაცემები

კაშხლის სიმაღლე H_c , მ	b, მ	ℓ , მ	h, მ	T, მ	P, მპა		საერთო მონაცემები
					max	min	
5,0	3,15	30	0,50	20,0	0,544	0,060	$\gamma_1=0,5$ $E=2,4 \cdot 10^4$ მპა $\nu=0,2$ $\nu_{გრ}=0,3$ $E_{გრ}=20,0$ მპა
3,0	1,75	20	0,40	15,0	0,527	0,059	
2,0	1,48	20	0,35	12,0	0,508	0,057	
1,5	1,0	20	0,35	10,0	0,567	0,063	

გაანგარიშებები ჩავატარეთ დრეკად ფუძეში აღძრული მხები ძაბვების გათვალისწინებითა და აღნიშნული ძაბვების უგულებელყოფის შემთხვევაში.

ნახ. 9.-ზე მოცემულია საძირკვლის ფილის შუა წერტილის ($\eta=\nu=0$) რადიალური ჩაღუნვების გრაფიკები დრეკად ფუძეში აღძრული მხები ძაბვების გათვალისწინებით და მის გარეშე.



ნახ. 9. რადიალური ჩაღუნვების გრაფიკი დრეკად ფუძეში აღძრული მხები ძაბვების გათვალისწინებითა და მის გარეშე.

რიცხვითი ექსპერიმენტის საფუძველზე დადგენილია საძიებელ პარამეტრების მნიშვნელობათა კრებალობის საკითხი. პრაქტიკულად მისაღებ შედეგებს იძლევა მეორე, მესამე მიახლოება ($m=2,3$), ანუ, როცა საძიებელი პარამეტრის მწკრივში ვინარჩუნებთ ორ ან სამ შესაკრებს. ცდომილება ამ დროს შესაბამისად არ აჭარბებს $\sim 5,3\%$ -ს, რაც დამოკიდებულია საძიებელ პარამეტრებზე და ფილის მახასიათებელი


წერტილის მდებარეობაზე. ამოცანის რიცხვითი რეალიზაციისათვის შედგენილი კომპიუტერული პროგრამის საფუძველზე ადვილად დგინდება მიღებულ შედეგებზე სხვადასხვა პარამეტრების გავლენა, მათ შორის, ფუძის სიღრმეში გრუნტის ჯდომის სიჩქარის კოეფიციენტის გავლენა.

მოგვეყავს 5მ სიმაღლის კაშხლის გაანგარიშების შედეგები ცხრილური ფორმით:

ცხრილი 2. ($H_3=5\text{მ}$)

პარამეტრები	$\eta=x/b$	$Y, \text{ მ}$					
		0	3.75	7.5	11.25	13.125	15
$W, \text{ მ}$	-1	0.000000	0.000000	0.000000	0.000000	0.000000	0.000000
	-0.8	0.000492	0.000484	0.000487	0.000468	0.000325	0.000000
	-0.5	0.002228	0.002197	0.002207	0.002089	0.001429	0.000000
	0	0.004292	0.004234	0.004250	0.004006	0.002732	0.000000
	0.5	0.002649	0.002600	0.002614	0.002517	0.001759	0.000000
	0.8	0.000649	0.000633	0.000638	0.000630	0.000454	0.000000
